2004

ევროკავშირის თავმჯდომარის სახელით მიღებული <u>დეკლარაცია</u> **სამხრეთ ოსეთში არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებით**

1. ევროკავშირი გამოხატავს სერიოზულ შეშფოთებას ბოლო დროს სამხრეთ ოსეთში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, რომლებმაც უკანასკნელი წლების განმავლობაში პირველად გამოიწვია ადამიანების დაღუპვა. ევროკავშირი დაბეჯითებით მოუწოდებს ყველა შესაბამის მხარეს გამოიჩინონ მაქსიმალური თავშეკავება და სრულად დაიცვან ცეცხლის შეწყვეტის პირობები.

2. ევროკავშირი ადგილზე სიტუაციის სტაბილიზაციას მიიჩნევს უპირველეს პრიორიტეტად. ცეცხლის შესახებ ხელშეკრულების შემდგომმა დარღვევებმა და შერეული საკონტროლო კომისიის გადაწყვეტილებების შეუსრულებლობამ შესაძლოა მარტივად მიგვიყვანოს ისედაც მერყევი სიტუაციის შემდგომი ესკალაციისაკენ. მეორეს მხრივ კი ცეცხლის შეწყვეტის სტაბილურად დაცვა შექმნის საფუძველს მოლაპარაკებების გააქტიურებისაკენ, რამაც უნდა მიგვიყვანოს პოლიტიკურ გადაწყვეტამდე.

3. ევროკავშირი მიიჩნევს კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაციას, შერეული სამშვიდობო ძალების გამოკლებით, არსებული კრიზისის დე-ესკალაციის აუცილებელ წინაპირობად.

4. ევროკავშირი კრიზისის განმავლობაში მუდმივად ინარჩუნებდა კონტაქტს შესაბამის მხარეებთან, უმეტესწილად სამხრეთ კავკასიაში თავისი სპეციალური წარმომადგენლის, ელჩი ტალვიტიეს მეშვეობით. ევროკავშირი იხსენებს უმაღლესი წარმომადგენლის, სოლანას მიერ 14 აგვისტოს გაკეთებულ დეკლარაციას და ეუთოს მუდმივმოქმედ საბჭოზე ევროკავშირის მიერ გაკეთებულ ბოლო განცხადებებს.

5. ევროკავშირი მხარს უჭერს ეუთოს ადგილზე სიტუაციის ეფექტური და საიმედო ჩატარების მხრივ და მიესალმება ეუთოს მოქმედი თავმჯდომარის განზრახვას გაემგზავროს რეგიონში და მოუწოდებს მას, რომ ეს განზრახვა სისრულეში მოიყვანოს პირველივე შესაძლებლობისთანავე, რათა ხაზი გაუსვას ეუთოს დაინტერესებას გრძელვადიანი ცეცხლის შეწყვეტით და დარწმუნდეს კონფლიქტის მხარეების მზადყოფნაში ეძიონ პოლიტიკური გადაწყვეტა. ამ კონტექსტში ევროკავშირი მიესალმება ეუთოს მოქმედი თავმჯდომარის განზრახვას სასწრაფოდ გაითვალისწინოს რამდენად შესაძლებელია ეუთოს მონიტორინგის შესაძლებლობების შემდგომი გაძლიერება კონფლიქტის ზონაში.

6. ევროკავშირი ინტერესით აღნიშნავს წინადადებებს, როგორც სიტუაციის მოკლევადიან სტაბლიზაციასთან დაკავშირებით, ასევე ეუთოს მოქმედი თავმჯდომარის მიერ სამხრეთ ოსეთის საკითხებზე საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის მიმართ. ევროკავშირი განიხილავს შესაბამის მხარეებთან ერთად, სამხრეთ კავკასიაში თავისი სპეციალური წარმომადგენლის მეშვეობით, თუ როგორ შეძლებს ის მაქსიმალურად ეფექტურად შეიტანოს თავისი წვლილი კრიზისის მოგვარებაში, განსაკუთრებით ეუთოსთან თანამშრომლობით.

7. ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი განაგრძობს პოლიტიკურ დიალოგს რუსეთის ფედერაციასთან სამხრეთ ოსეთის კრიზისის, როგორც სასწრაფოდ გადასაწყვეტი საკითხის თაობაზე.

8. ევროკავშირს სურს გაიხსენოს კიდევ ერთხელ თავისი მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი და აუცილებლობა, გამოინახოს შესაბამისი გადაწყვეტილებები არსებულ კონფლიქტებთან მიმართებაში მოლაპარაკებების, ნდობის შემქმნელი და მხოლოდ სამშვიდობო ზომების მეშვეობით. ევროკავშირი აღნიშნავს, რომ კონფლიქტის ნებისმიერი გრძელვადიანი გადაწყვეტა შესაძლოა მხოლოდ და მხოლოდ ეფუძნებოდეს კანონის უზენასობისა და ადამიანის უფლებების პატივისცემასა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვას, მის მიერ საკუთარი საზღვრების გაკონტროლების უფლების ჩათვლით.

9. ევროკავშირი გამოთქვამს თავის მზაობას კვლავაც განაგრძოს საქართველოს მხარდაჭერა დემოკრატიული ინსტიტუტებისა და კანონის უზენაესობის გამყარებაში, მათ შორის თავისი კანონის

უზენაესობის მისიის EUJUST-THEMIS-ის მეშვეობით და გამოთქვამს მზადყოფნას განახორციელოს სათანადო ჰუმანიტარული მხარდაჭერა.

კანდიდატი ქვეყნები: ბულგარეთი, რუმინეთი, თურქეთი და ხორვატია, სტაბილიზაციისა და ასოციაციის პროცესის ქვეყნები და პოტენციური კანდიდატები: ალბანია, ბოსნია და ჰერცოგოვინა, ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონია, სერბია და მონტენეგრო და ETVS-ს ქვეყნები ისლანდია, ლიხტენშტეინი და ნორვეგია, ევროპული ეკონომიკური სივრცის წევრები, უერთდებიან ამ დეკლარაციას.

ხორვატია რჩება სტაბილიზაციისა და ასოციაციის პროცესის წევრად

20 აგვისტო, 2004 წელი

(www.europa.eu)